- საწყისი, შუალედური და ფინალური კონფერენციების ჩატარება;
- კონსორციუმის წევრების შეხვედრების უზრუნველყოფა და რეპორტინგი;
- პროექტის ადმინისტრირება და ფინანსური მართვა.

კოორდინატორი უნივერსიტეტი:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

პროექტის პარტნიორები:

- ☑ ბიდგოშჩის ეკონომიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
- ☑ ტრანსილვანიის ბრასოვის უნივერსიტეტი (რუმინეთი);
- ☑ ადამიანის უნარების გაძლიერების სტრატეგიული ცენტრი (იტალია);
- ☑ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ კავკასიის უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ ქუთაისის უნივერსიტეტი (საქართველო);
- ☑ თბილისის ფიზიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური (საქართველო);
- ☑ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საგრანტო ხელშეკრულების ნომერი:
617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP

epsy@sou.edu.ge
http://epsy.ge/ka

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

E-PSY
PSYCHOLOGICAL COUNSELLING CENTERS FOR STUDENTS

Erasmus+ CBHE ინსტიტუციური განვითარების პროექტი "ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (E-PSY)"

პროექტის ზოგადი მიზანია სტუდენტებისთვის სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნის გზით.

პროექტის მთავარი მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიმღები პირების (საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების) ოფიციალური დოკუმენტების განვითარება, რათა მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მენტალური ჯანმრთელობის შესახებ და ყურადღება გამახვილდეს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის მნიშვნელობაზე.

პროექტის ამოცანებია:

- ☑ ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში;
- ☑ პერსონალის მომზადება და გადამზადება;
- ☑ რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო დოკუმენტაციის შემუშავება;
- ☑ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სტუდენტებისა და, საერთოდ, ფართო აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება;
- ☑ საქართველოს უნივერსიტეტების ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაციის შექმნა.

ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების დაფუძნებით, პროექტში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები მიიღებენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და დახმარებას მათი მოთხოვნის შესაბამისად. ამ დახმარებას მათ გაუწევენ ფსიქოლოგები, რომლებიც სპეციალიზირებულ ტრენინგებს გაივლიან ბიდგოშჩისა და ბრასოვის უნივერსიტეტებში, მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ევროპელი სპეციალისტების მიერ ორგანიზებულ ვორქშოფებსა და სემინარებში. ასევე, შემუშავდება რეკომენდაციები და საკანონმდებლო დოკუმენტაცია, შეიქმნება უნივერსიტეტების ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაცია, რაც ხელს შეუწყობს პროექტის შედეგების მდგრადობასა და მის სიცოცხლისუნარიანობას.

პროექტის მიზნების მისაღწევად კონსორციუმის წევრები განახორციელებენ შემდეგ საქმიანობას:

- პროექტის მართვისთვის თემატური ჯგუფების შექმნა;
- ადგილობრივი საჭიროებების შესწავლა/კვლევა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება;
- საინფორმაციო ვიზიტები ევროკავშირის პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- სატრენინგო მასალების მომზადება ფსიქოლოგებისა და კონსულტანტებისთვის;
- ევროკავშირის მიერ ფსიქოლოგებისა და კონსულტანტებისთვის ვორქშოფებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა;
- დეტალური სტრატეგიის შემუშავება ეთიკური რეგულაციებისა და პროფესიული ჩარჩოსთვის;
- სპეციფიკური ფსიქოლოგიური სადიაგნოსტიკო ტესტებით, წიგნებითა და სამუშაო რვეულებით ცენტრების უზრუნველყოფა;
- ცენტრების სრულად აღჭურვა გამართული მუშაობისთვის;
- სადიაგნოსტიკო ტესტების თარგმნა, ადაპტირება, სტანდარტიზირება და ვალიდაცია;
- უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის გაიდლაინების მომზადება;
- ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- გეგმის დოკუმენტაციის განვითარება და პოლიტიკის შემქმნელი პირებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ხარისხის კონტროლის გეგმის შემუშავება;
- პროექტის იმპლემენტაციისა და მისი შედეგების გარე შეფასება;
- პროექტის ვებ-გვერდის შექმნა;
- საქართველოს უნივერსიტეტების ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაციის შექმნა;